

გაზეთის ფასი:

გაზეთის ფასი	ბაზუგაფენით:
და გარეშე აღვიღებში:	ბაზუგაფენით:
მთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა — 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუზღვევლათ — 3 შაური.  
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

თულისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელქიშვილის და კამბ. სტამბაში, შალვაშვილის პროსპექტზე, პ. ზუბალოვის სახლში. —  
 თულისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вл. Тивлиств. Вл. контору редакци гврузинской газеты „ВРЕМЯ“.  
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასობითა გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

**რედაქციისაგან.**  
 ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრისაგან.

ამ ნუმერში არის: მმართველობის განკარგულება. თულისის ფორტის სამმართველოსაგან. — შთაფრის კამიტეტისაგან დოკუმენტები ქვეყანაში. — შუქვა. — რკინის გზა შოთილამ თულისამდე. პოლიტიკა. ანგლია: შენობები. ავსტრია: მენგრიის დეპუტატ-პალატის ადრესი. — სტატისტიკური ცნობა ქვეყნის მხარეზედ. — სახანო განცხადება.

**მმართველობის განკარგულება.**

თულისის ფორტის სამმართველოსაგან. თულისის ფორტის სამმართველო გამოაცხადებს, რომ მისმა იმპერატორების შმალესობამ დაამტკიცა ახალი წესი ფორტების სარეგულაციო ყოველ გვარის კორრესპონდენტებთან თულისიდან იმერეთის გზაზედ და რუსეთში. ფორტა ივლის:

- ა) რუსეთს: ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით; ყოველ გვარი კორრესპონდენტია მიიღება დღის 12-ს საათამდე.
  - ბ) შუთაისის გზაზედ: სამშაბათობით და პარასკევობით; ყოველ გვარი კორრესპონდენტია მიიღება დღის 12-ს საათამდე.
  - გ) ბორჯომისკენ: 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე სამშაბათობით და პარასკევობით დღის 12 საათამდე, და დანაშთენს დროს კი მხოლოდ პარასკევობით; კორრესპონდენტია მიიღება აგრეთვე ყოველ გვარი.
- შორტა მიიღება:
- ა) რუსეთიდან ყოველს დღეს, ოთხშაბათის გარდა, სადილს უკან, 3 საათს და ხო მინუტს.
  - ბ) შუთაისის გზიდან: ოთხშაბათობით და შაბათობით, შუალამის შემდეგ, 8 საათზედ და 10 მინუტზედ.
- კორრესპონდენტის მიღება ახლის წესით დაიწყება თულისში ამ წლის პირველის მომავლის აპრილიდან.

შთაფრის კამიტეტისაგან დოკუმენტები ქვეყანაში. ამ კამიტეტის განკარგულებით 10 მომავალს აპრილს იქნება დოკუმენტების პრიზზედ. მანძილი არის ულანის ცხენებისათვის ექვსი ვერსი, ფაშატებისთვის ხუთი. მეორე გაქვება არ იქნება. თუ რომ ულანის ცხენები 12 მინუტზედ გვიან მიეღვენ პრიზის სვეტთან და ფაშატები 10 მინუტზედ გვიან, მაშინ ისინი იმპერატორის პრიზს ვერ მიიღებენ. მისაც სურს მონაწილეობის მიღება ამ მომავალს დღეში, იმას შეუძლიან ცხენები ჩასწეროს გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში, დღის 9 საათიდან 2 საათამდე სადილის შემდეგ. ამასთანავე კამიტეტი გამოაცხადებს, რომ მომავლის 1867 წლიდან და-

ღებში შემოიშვება ყოველ გვარის ჯიშის ცხენები.

შუქვა. კამიტეტი, რომელიც არის დანიშნული ცნობაში მოსაყვანათ შთამომავლობის თავედაზნაურთა, რომელთაც თულისში უძრავი ქონება აქვთ, ანუ ვაჭრობენ და ხელოვნობენ და ექნებათ ხმის უფლება ახალ დაწესებულს ქალაქის საზოგადო მმართველობაში, მოიყვანს საზოგადო ცნობაში, რომ რაც საჭირო ცნობები არის უშუალოდ მისთვის მკატრონებთანაგან, იმათ შეუძლიანთ ეს ცნობები ან თვითონ მიუტანონ ან გაუზღვეონ კომიტეტის პრედსედატელს დეისტიტელნი სტატისკის სოცეტისკის სოცეტისკის, მექვეის პალატაში, ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე; ეს ცნობები იმ ფორმით კი უნდა იყოს შედგენილი, რომელიც იყო დაბეჭდილი „ქვეყნის“ გაზეთის 16,18 და 19 ნუმერში და „დროების“ პირველს ნუმერში.

**რკინის გზა შოთილამ თულისამდე.**

1863 წლის აგვისტოს გენერალ-ფელდმარშალმა ენაზმა ბარიათინსკიმ წარუდგინა ხელმოწევი იმპერატორს ახრი რკინის გზის გაკეთების საჭიროებაზედ შაფისა და ქსპის ზღვის შუა. შასი ამ გზისა გამოანგარიშებული იყო 50 მილიონამდე.

შს პროექტი შედგენილია ანგლიის ინჟინერის ბელლისაგან და ხელმოწევი იმპერატორმა იმისი უმთავრესი საფუძველი დაამტკიცა კიდევ; მაგრამ ფინანსის მდგომარეობის გამო მაშინვე აღსრულებაში მოყვანა იმ პროექტისა შეუძლებელათ აღმოჩნდა.

1864 წ. მისმა იმპერატორების შმალესობამ, ქვეყნის ნამსტრეკმა, საჭიროთ დაინახა, რომ რაოდენიმე ცელილება მომხდარიყო პირველს პროექტში. ეს ცელილება იმაში მდგომარობდა, რომ 1) ფასი მთელის გზისა უნდა შემცირებულიყო, 2) გზა თავდა პირველათ შოთილამ თულისამდე უნდა გაკეთებულიყო.

მისის შმალესობის ახრი 1864 წ. აგვისტოში ხელმოწევი იმპერატორმა დაამტკიცა. შასის შესამცირებლათ მიწის ტილოსთვის (полотно) (ფასი არის დანიშნული 4 მილი), დიდმა მთავარმა, ქვეყნის ნამსტრეკმა, მოითხოვა შმალესის ნება-ართვა, რომ მიწის მუშაობა დაწყებონთ თავისუფალს ჯარებს და ამ განზრახვით შესდგეს განსაკუთრებით საჭიროებებში მთელის ქვეყნის არმიის სალდათებისაგან, რომელნიც ჯარიმას ქვეშ არიან.

მანონი და შტატი ქვეყნის საშუალო ბრიგადისა შმალესათ დაამტკიცა 11 თებერვალს 1865 წ.

მთელის გზის სიგძეზედ, რომელიც 280 ვერსს შეადგენს, 1865 წ. განმავლობაში გზის კვალი (трассировка) კეთდებოდა 111 ვერსზედ და 330 საყენზედ. სრულდებოდა კვალი გაველო 81 ვერსისა და 350 საყენის სიგძეზედ.

მთელი სიგძე გზისა შოთილამ თულისამდე გაყოფილია სამს ნაწილათ: პირველი შოთილამ შვირილამდე (ზესთა-ფონამდე), მეორე-

შვირილამდ ბრაკალამდე, მესამე-ბრაკალიდან თულისამდე.

პირველს ნაწილში მუშაობა დაიწყო 10 აპრილს ლინეის ბატალიონების თორმეტმა რატამ, რომელმაც ზაფხულის სიციხემდე შემოეშავა 280 საყენი გზა.

15 ივლისიდან 24 აგვისტომდე მუშაობდნენ მეგრელები თეკლათიდან ექვს ვერსზედ სენის-წყლის მდინარემდე. 6 ოქტომბრიდან ხელი მიჰყო რვა რატამ იმ მუშაობას, რომელიც ზაფხულის დაწყებული იყო. 1 იანვრამდე პირველს ნაწილში არის გაკეთებული 1200 საყენი სიგძე იმის გარდა, რაც მეგრელებისაგან გაკეთებულია.

შვირილამდ ბრაკალამდე მუშაობაზედ იღება ქვეყნის საშუალო ბრიგადა. ამ ბრიგადამ მიჰყო ხელი საქმეს 1 მაისს ხიდისთავიდან ბრაკალამდე და 16 ივნისისთვის გაათავა მუშაობა 8 ვერსზედ და 240 საყენზედ.

შემდეგ გზის შესრულებისა მორიდან ბრაკალამდე ბრიგადა დაბრუნდა ისევ ბორს; აქედან იმან დაიწყო მუშაობა სურამისკენ და გაათავა მეორე ნაწილში, 1 ნოემბრისთვის, 31 1/2 ვერსი მიწის ტილო. 1 ნოემბერს ბრიგადა გადავიდა სურამის მთას იქით საშუალოთ შვირილისა და ხარაგაულის სტანციების შუა. მთლათ ქვეყნის ბრიგადისაგან გაკეთებულია 1865 წ. 32 ვერსი 437 საყენი.

მესამე ნაწილში მუშაობა დაიწყო 15 მაისს ოთხმა ბატალიონმა, რომელმაც ივნისისთვის, აეკალის მახლობლათ, შეარულა 3 ვერსი და 440 საყენი.

დასვენების შემდეგ ზაფხულში, 8 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე მცხეთისა და ძეგლის შუა ოთხმა ბატალიონმა გაათავა 4 ვერსი მიწის ტილო.

საზოგადოთ მესამე ნაწილში გათავებული არის 7 ვერსი 490 საყენი.

მთლათ სამს ნაწილში შესრულებულია 45 ვერსი 227 საყენი მიწის ტილო ანუ მეექვსედი ნაწილი მთელის გზის სიგძისა. თითოეული ვერსი გზისა, საშუალო გამოანგარიშებით, დაჯდა 3,729 მანეთათ და 50 კაპეკათ.

**პოლიტიკა.**  
**ანგლია.**

შენიები. შრანციის ჩრდილოეთით ატლანტიკის ოკეანეს და ჩრდილოეთის ზღვას შუამდებარებს ორი დიდი კუნძული: დიდბრიტანია და ირლანდია. დიდბრიტანიაში მდებარებს ორი ქვეყანა: ანგლია და შოტლანდია. ეს ორი ქვეყანა და ირლანდია უწინ შეადგენდა სამს განსაკუთრებით სახელმწიფოს: ანგლიას, შოტლანდიას და ირლანდიას. შემდეგ ეს სამი საკაროლო ერთათ შეერთდა და ახლა ამ სამს სახელმწიფოს ეწოდება შეერთებული დიდბრიტანიის და ირლანდიის საკაროლო. ირლანდია დიდის ხნიდან არის უკმაყოფილო ანგლიის ხალხზედ, რადგანაც ეს ორი ხალხი სხვა და სხვა შთამომავლობისანი და სარწმუნოებისანი არიან: ანგლიის ხალხის სარწმუნოება უფრო ლუთერის მცნებაზედ არის ახლო, მაშინ როდესაც ირლანდიელები არიან წმინდა კათოლიკეები. უწინ-

დელს დროში ამ ორს ხალხს სძულდათ ერთი ერთმანერთი, რადგანაც ირლანდიის ხალხობას და იმის სარწმუნოებას ანგლიის ხალხი სდევნიდა სარწმუნოებისათვის; მაგრამ შემდეგ როდესაც ისინი იმდენათ განათლდნენ, რომ ცხადათ დაინახეს, თუ რამდენათ უგუნური იყო ამ გვარი დენა, მაშინ სიძულელი ამ ორს ხალხს შუა სარწმუნოებისათვის შემცირდა. შემდეგ განხეთქილება კიდევ უფრო აღიძრა, ამისთვის რომ ანგლიის მთავრობამ გააუქმა ირლანდიის თვით-გამგეობა. მრავალი ანგლიის მდიდარ-კაცობა გადასახლდა ირლანდიაში და ცოტა-ცოტათ მოიგდო ხელში იმისი მიწა და ვაჭრობა. შკანასკნელს დროში ამის გამო თითქმის უმეტესი ნაწილი ირლანდიის ხალხისა დარჩა უმიწოთ. ირლანდიის ხალხი თავის უწინდელს მიწას ახლა ქირით იღებდა საშუალოთ ანგლიელების მიწის მესატრონისაგან, რომელიც თან და თან მიწის ქირას უმატებდა, ასე რომ ბოლოს ბიერს ირლანდიელებთან ამის გამო ნამუშავრის მოყვანის საშუალობაც სრულდებოდა მოაკლდათ.

1846 წელში მთელს ირლანდიაში სრულიად გაფუჭდა კართოფლის მოსავალი, რომელიც ამ ქვეყნის ხალხს არჩნდა. მთელი მხარე დაიშრა. მოხდა ამის გამო აღრეულობა, და მრავალი ირლანდიელი გადასახლდა და კიდევ გადადის ამერიკაში და ავსტრალიაში. ნამდვილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ 1852 წლიდან 1864 წლამდე გადასახლებულა ერთს მილიონზედ მომატებული მცხოვრები.

1846 წელში კართოფლის მოუსვლელობას დიდი მნიშვნელობა ქონდა ანგლიის საპოლიტიკო ცხოვრებისათვის. ირლანდიდან ძალადობით ხალხის გასვლის გამო მილიონმა ირლანდიის პატრიოტებმა (მაშულის მოყვარე), რომელნიც დაიფანტნენ გარეშე სახელმწიფოებში და განსაკუთრებით შეერთებულს შტატებში მოქალაქეებათ, და შეიქნენ ანგლიის მტრებათ. რაც ათი ათასს განდევნილს ირლანდიელს ვერ შეეძლო მოეხერხებინა, ის მოახერხა მილიონმა ირლანდიელმა. მცდა თექვსმეტს შეერთებულს შტატების მცხოვრებლებში მეშვიდედი ნაწილი სულ ირლანდიელია; იმათი უმეტესი ნაწილი ამერიკაშია დაბადებული, მაგრამ ისინიც ისეთი მხურვალე პატრიოტები არიან, როგორიც იმათი მამა და პაპა ყოფილა...

შენიების საზოგადოება დაარსდა 1862 წელში; მაგრამ ის უფრო ვადიდდა და შეიქნა მეტად სასაშიშრო ანგლიისათვის მხოლოდ იმის აქეთ, რაც ამერიკული ბრძოლა გათავდა. ირლანდიელებს, რომელნიც შეერთებულს შტატების ჯარში მსახურობდნენ, ბრძოლის გათავების შემდეგ, მოაკლდათ ყოველი გვარი საზრდო და აი ამირლანდიელებმა თავისთანა მემამულეებით, რომელნიც ირლანდიაში ცხოვრობდნენ, შეთქმულობა დაარსეს. ამ შეთქმულობის განზრახვა არის, რომ კაროლევას უფლებებისაგან თავი გაინთავისუფლონ, გააცალკეონ ირლანდია სხვა საკაროლო ნაწილისაგან და დააფუძნონ რესპუბლიკა.

ასმა ათასმა შეერთებულს შტატების მოქალაქეებმა მიიღეს ამ შეთქმულობაში მონაწილეობა. ირლანდიდან გამოსულებს, რომელნიც ემსახურებოდნენ ფრანკლენის ჯარებ-



ლება სახელმწიფოს მდგომარეობას არას აწინააღმდეგებ. ჩვენი საქმე იმასში მდგომარეობს, რომ ეს ორი მხარე: სახელმწიფოს კეთილ-მდგომარეობა და ვენგრის შინაგანი თავისუფლება, ერთი ერთმანეთს შეუთვისდნენ.

სამოქალაქო თავისუფლება ასეთი საუნჯეა რომელიც თუნდ ბევრსაც მიენიჭოს, მაინც არ შემცირდება; როდესაც სხვა და სხვა ხალხს საპოლიტიკო უფლება მიეცემა, მაშინ ისინი უფრო ერთი ერთმანეთს დაუახლოვდებიან; ჯიბრი, სიძულელი და შური იმათში მოისპობა. ოქტომბრის უდიდებულესობა რომ უპირებს სხვა და სხვა მხარეს კონსტიტუციის მი-ნიჭებას, ჩვენთვის ძლიერ სასიხარულოა, რადგანაც ის თვით ჩვენს კონსტიტუციის სიმაგრეთ მიგაჩნია. ჩვენ ვერაოდეს ვერ წარმოვიდგინებთ, რომ იყოს იმისთანა კონსტიტუცია, რომელსაც ჩვენს კონსტიტუციასთან და ჩვენს დამოუკიდებლობასთან არ შეეძლოს მოთავსება. ჩვენი კონსტიტუცია დიდის ხნიდან არსებობს და არის დამტკიცებული თვით პრაგმატიკის საწყისიდან.

ოქტომბრის უდიდებულესობამ იხება 20 ოქტომბერს 1860 წელს, დიპლომის გამოგზავნა და 1861 წელს, 26 თებერვალს პატენტისა. (\*) ამასთანავე გვითვლიდით, რომ ჩვენ გავემინჯა ეს თქვენი დაწესებანი მშვიდობიანთა და მიუფერებლათ. ღია, მოწყალებულმწიფე ჩვენ ეს ორი დოკუმენტი მშვიდობიანთა და მიუფერებლათ გავემინჯეთ. ჩვენ არ ვიტყვი, რომ ამ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა არა ქონდეს, რადგანაც ამათში თქვენი უდიდებულესობა აძლევს თავის ქვეყნად მოსვლას, რომ აწ ჩემის ხალხების მართვას კონსტიტუციის ძალით დავიწყებო. ეს დიპლომი არის პირველი ქვა, რომელზედაც აწ დაწესებულა შენებას კონსტიტუციური ცხოვრება თქვენს ხალხებისა. გარდა მენგრიისა და მენგრიის გვირგვინის ქვეშევრდომების ხალხებისა. ძაროლის უფლებს მენგრიის კონსტიტუციაზედ არის დაუფრენებული. მენგრიის ხალხი თავის კაროლებს იმ პირობით ირჩევდა ტახტზედ, რომ იმათ კონსტიტუცია არ დაერღვიათ. ამავ პირობითაც თავის-ნება-რთვით მენგრიამ მიიწვია ლაშხურის დინასტია თვის ტახტზედ. ტახტზედ შესვლის დროს ყოველი ჩვენი მონარხი მენგრიის ხალხს პირობას აძლევდა, რომ კონსტიტუციას არ დაეარღვეო.

1860 წელში, როდესაც თქვენმა უდიდებულესობამ იხება უარის ყოფა მართლთა გამოგზავნაზედ, ჩვენ მართლად იმედი მოგვეცა, რომ თქვენ აღადგენდით ჩვენს კონსტიტუციას, რომელიც აღარ იხმარებოდა საქმეში; გვეგონა თუ კონსტიტუციის საბუთით მოახდენდით მიუცილებელს ცვლილებას სხვა და სხვა ჩვენის სჯულისწაწილში, მაგრამ მაშინდელი ჩვენი იმედი მონაც არ გამართლდებულა. ბევრი იმისთანა საერთო საქმეებია დიპლომაში მოხსენებული, რომელთაც პრაგმატიკის საწყისი არ აქცევს ყურადღებას. ჩვენს ქვეყანაში სჯულის დამდებს ძალას ბევრი იმისთანა უფლება ჩამოერთმევა, რომელიც სრულებით არ ეწინააღმდეგება პრაგმატიკის საწყისის განზრახვლებას. როგორათაც თქვენ, ისე ჩვენც მივიღია ყოველის საზოგადო დადებულების საფუძვლათ შემოხსენებული დოკუმენტი და ამისთვისაც სრულის მინდობილებით განვიცხადებთ, თქვენო უდიდებულესობაზე, რომ ჩვენ ვერ მივიღებთ იმ საბუთებს.

(\*) 1860 წ. 20 ოქტომბრის დიპლომი და 1861 წ. 26 თებერვლის პატენტი ახლანდელის იმპერატორისაგან არის გამოცემული. დიპლომა დააწესა სჯულის დამდები კრება (რეისტრატ), იმპერიის სხვა და სხვა ნაწილების სიმიეზი და სახელმწიფო რჩევა; პატენტმა მასაც თვითოველს ხალხს აქვს იმპერიაში უფლება დეპუტატების ამირჩევისა სიმიეზი და რეისტრატში. მაგრამ ვენგრიელემა არ მიიღეს არც ერთი და არც მეორე, რადგანაც ისინი მენგრიის კონსტიტუციის წინააღმდეგნი იყვნენ.

რომელიც დიპლომაშია მოხსენებული, ამიტომ რომ იმის მიღებით ჩვენს კონსტიტუციის თავისი ძალა სრულებით უნდა მოაკლდეს და წაგვეერთოს ჩვენი თვით არსებობა და კონსტიტუციური დამოუკიდებულობა.

26 თებერვლის პატენტი, რომელიც იყო მიუცილებელი შედეგი ოქტომბრის დიპლომისა, კიდევ უფრო ვარადემეტა იმ სამძღვარს, რომელიც დიპლომაშია გამოცხადებული. პატენტში თითქმის არც მაშინ იყო ცალკე ქვეყნების საჭიროებაზედ ყურადღება მიქცეული, როდესაც განსაკუთრებულის ქვეყნის კერძობითი სარგებლობა არ ეწინააღმდეგებოდა ერთობით სახელმწიფოს წადილს და სარგებლობას. იქ უფრო იმაზედ იყო სჯა, თუ რა რიგით უნდა შერყულ იყვნენ სხვა და სხვა ქვეყნების ხალხი ერთის სახელმწიფოს შესადგენათ და არა იმაზედ თუ რა რიგით უნდა შეთანხმებულ იყვნენ ისინი.

პრაგმატიკის საწყისი ძალიან ნათლად არის გამოყვანილი, რომ მენგრიას უნდა ქონდეს თავისი კონსტიტუცია და კონსტიტუციის თვისუფლება. თებერვლის პატენტი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის გამოგზავნა მიენდო სახელმწიფოს მოხელეებისთვის, რომელთაც ჩვენთვის ანგარიში გამოგზავნაში არ უნდა მოეცათ; და ზოგი ნაწილი კი გამოგზავნის მენგრიის მმართველობისთვის უნდა მიეცათ. ამ რიგით ერთსა და იმავე ქვეყანაში ორი სხვა და სხვა ერთი ერთმანეთის დამოუკიდებელი მმართველობა უნდა ყოფილიყო. კონსტიტუციურს ქვეყანაში ამ გვარი წყობილება არ მოხერხდება. ჩვენ უეჭველად აზრში უნდა მოგვევლოდა, რომ ერთი ამ მმართველობათაგან ვაუქმებულიყო აღრე თუ გვიან. მიუცილებლათ ამ შემთხვევაში უფრო შემძლე მხარე აჯობებდა. შვირფასესი ჩვენთვის კონსტიტუციური მენგრიის სახელმწიფო დადებულებები არ მოგვემდინენ ნებას, რომ მიგველო თებერვლის პატენტი და გვეფხრო ჩვენი კონსტიტუციური დამოუკიდებლობა.

ახლანდელს დროში ჩვენს საპოლიტიკო ცხოვრებას მიწაზედ ფეხი მაგრათ არ უდგია. ოქტომბრის უდიდებულესობას შეუძლიან ის გააპაგროს, თუ რომ ნამდვილს ძალას მისცემთ საქმეში ჩვენს კონსტიტუციას და დაიდგამთ საქვეყნოდ თავზედ მენგრიის გვირგვინს, რომელიც მართლად დამტკიცებს, რომ თქვენ ვინდითნამდვილათ აღადგინათ კონსტიტუცია.

პოლიტიკურის ჩვენის ყოფ-ცხოვრების გაუმჯობესებას შეუძლიან ფეხზედ წამოაყენოს ჩვენი შეძლება და ნიეთიერებითი მდგომარეობა. ნიეთიერების ღონისძიების შიშობებით, შეძლების და საცხოვრებელის მომატებით ჩვენ უფრო მტკიცედ დავიცავთ ჩვენს პოლიტიკურს მდგომარეობას. ხალხის სიმდიდრე და შეძლება უნდა იყოს ამ პოლიტიკურის მდგომარეობის დედაბოძად. ჩვენ მოგახსენებთ გულითად მადლობას, იმისთვის რომ თქვენ სლავონის და პროკაციის სემისთვის გამოვიცხადებთ, რომ იმათ თავის დროზედ გამოგზავნონ წარმომადგენლები ჩვენს ახლანდელს. სემში ამ ნაირი განკარგულება ჩვენ გვიმტკიცებს, რომ თქვენს უდიდებულესობას არაოდეს არასურს მოსპოს ჩვენი უფლება. თუ მართლაც პროკაციას სურს მიიღოს მონაწილეობა ჩვენს კონსტიტუციაში და ითხოვს მენგრიასთან შეერთების პირობაზედ, ჩვენ ამაზედ უარს არ ვიტყვი, მხოლოდ ეს კი არის, რომ ზოგიერთს საქმეებში უნდა მოვრიგდეთ. იმათ ჩვენ ხელს მივაწვდიდით, მივცემთ შემწეობას სრულის მშურის სიყვარულით; ოღონდკი ჩვენს კონსტიტუციურს დამოუკიდებულებას და სხვას ჩვენს უფლებებებს არა რაიმე ნება არ მიეცეთ.

ბრძოლით სიტყვაში მართლაც პროკაცია და სლავონია არის მოხსენებული და დამოკიცა კარა. როგორც პროკაცია და სლავონია, ისე დამოკიცა ეკუთვნის ვენგრიის ტახტს. ჩვენ გამოუცხადებთ თქვენს უდიდებულესობას მადლობას, რადგანაც თქვენ ზრუნავ-

დით ჩვენ და სემიგრადის სამთავრო მოგერიებინათ და ამათის კავშირისათვის მიგეცათ კანონიერი წესი. ამ კავშირის საფუძვლათ დაიდგინოს სჯული, რომელიც იყო დაწესებული 1848 წელში მენგრიის და სემიგრადის სამთავროს დაკავშირების დროს. ეს სჯული იყო მიღებული ორისავე მხრის თანხმობით და უმაღლესის ნებით დამტკიცებული. ამ საგანს გავსჯით ჩვენ მშურის სიყვარულით. ოქტომბრის

უდიდებულესობაზე! შეკადნიერდებით, რომ ათე თქვენ, რომ მისცეთ ნება ჩვენს სემიგრადისათვის შიშობის წარმომადგენლებსაც, რადგინაც ეს შიშობე არის ჩვენი სამშობლო ქვეყნის ნაწილი. ამის გარდა გთხოვთ, რომ პატარა კორპორაციებს (საზოგადოებებს) ყვანდეთ თავისი წარმომადგენლები სემში, 1848 სჯულის V სტატიის ძალით.

სტატისტიკური ცნობები კავკასიის მხარეზედ.

სამმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც მმართველობის განკარგულებით კავკასიის გუბერნიის თავ-ქალაქებში კამიტეტები დაწესდა სტატისტიკურის (\*) ცნობების შესაკრებათ, მაგრამ ჯერ იმათ შორამ არ გამოჩენილა. სტატისტიკური ფაქტები რომელსამე ქვეყანაზედ, თუ სწორეთ არის შეგროვებული და კარგათ შემუშავებული, ცხადთ წარმოგვიდგენენ ამ ქვეყნის მდგომარეობას, ამისთვის ამ გვარის ცნობების შეტყობა ძალიან საჭირო და სასარგებლოა ყოველის განათლებულის კაცისათვის. წლიდან წლად კავკასიის კალენდარში დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობები კავკასიის მხარის სტატისტიკად. ბოლოს დროს გუბერნიის სტატისტიკური კამიტეტები მიხედნენ, რომ ამ გვარი ცნობები საზოგადოებისათვისაც საინტერესო იქნებოდა და იმათი დაბეჭდვა მოუფიქრათ. ჩვენ ამ შემთხვევით ვისარგებლებთ და გამოვკრებთ იქედამ ზოგიერთს ცნობებს. რასაკვირველია, ჩვენ პასუხის-გებაში არ ვიქმნებით, თუ ეს ფაქტები სწორედ და ნამდვილი არ ამოჩნდნენ. ჩვენ კარგათ ვიცით, რა ნაირი უსწავლელი და გამოუცდელი კაცები ჰკრეფენ ხოლმე ჩვენში სტატისტიკურს ცნობებს. მისაც ეს ცნობები ერთთა შეუგროვებია, თავის აზრით შეუმუშავებია და კავკასიის კალენდარში დასაბეჭდვათ მოუწადებია, ეტყობა იმასაც სუსტათ სცოდნია ჩვენი ქვეყანა. ამის დასამტკიცებლათ საკმაო გემინჯათ ტფილისის გუბერნიის ქალაქების აღწერა, რომელიც იმავე კალენდარშია დაბეჭდილი. როგორ ფიქრობ კითხველო, საიდან წარმოსდგა სახელი ზორის ქალაქისა? ოქტომბრის იტყვი: ამ ქალაქის შუაგორს არისო და ამისაგან ქალაქსაც დავტყვა სახელი — ზორი. — არა, თქვენ შემცთარი ხართო, გეტყვით მეცნიერი და სწავლული ავტორი „ტფილისის გუბერნიის ქალაქების აღწერისა“, თქვენი ახსნა ძალიან მარტივი არისო, ასე არ შეიძლებაო, ამ სიტყვას სხვა რამე მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო. აბა მოიფიქრეთ, ვერ მიხედით? როგორი მიუხდომელი ხართ! ზორი — ღორია. Гори по русски свиная (!) ოქტომბრის ეუბნეთ ამ მეცნიერს კაცს, ერთი რომ ამ ქალაქს ქართულათ ზორი ჰქვია და არა ღორი, და პერო — საიდან უნდა დარქმევოდა ქალაქს უწმინდურის ცხოველის სახელი? — ამაზედ ის პასუხს გაძლევთ: თქვენი სიტყვები არაფერს ამტკიცებენ, გეტყობათ თქვენ ფილოლოგიის არა გაგებებთ რა; როგორ არ იცით, რომ ღ ზმირათ გ — ედ გადადის. დაუკვირდით კარგათ ციხე რომ დგას იმ გორას, ვერ ხედავთ მისი ქედი დიდის უშველებელის ღორის ზურგს როგორა ვაგს? იქნება, თქვენ თვითონ გორელი იყოთ და არ გაიმათ, რომ თქვენს ქალაქის სახელს ასეთი შიშობაში წარმოგება აქვს. მართალია, ჩემი გამოკვლევის შემდეგ ზორს სხვა მნიშვნელობა მიეცემა და ბევრს ზმასაც დაბადებს, რომელიც გორელებისათვის სასიამოვნო არ იქნება. ასე მაგალითათ ამ სიტყვებს: გორული ცხოვრება, გორული ზეფულება, გორულათ და სხ. ამას იქით ორნაირი აზრი ექნება, ერთი ნამდვილი და კარგი, მეორე გადმოღებული და შეუსაბამი; მაგრამ რა ექნა, მე სწავლული კაცი ვარო და პულამ ქეშმარიტება უნდა გამოვიკლიოო. (\*\*)

უნდა ვიფიქროთ კი, რომ ვინც ამტკიცებს ზორი და ღორი ერთი და იგივე არისო, ამ გვარის სწავლულის კაცებისაგან შეკრებულს სტატისტიკურს ცნობებს დიდი სიმტკიცე არ უნდა ჰქონდეს. ამასთანავე კალენდარში თვითონ სტატისტიკური სქემაც ურიგოთ და უთავბოლოთ არის შედგენილი; ხშირათ ცაფრები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, ზოგჯერ ჯამი ცუდათ არის გამოყვანილი; დაბეჭდვაშიც ბევრი შეცდომა შემოპარულა. მაგრამ რა გავწყობა, ჩვენ სხვა ფაქტები ხელში არა გვაქვს და ჯერ რაც არის, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ. სულ არაობას ცალ-უდელი ხარი სჯობსო, ამბობს ჩვენი ანდაზა. მანადის უფრო ნამდვილს და ქეშმარიტს ცნობებს ვიშოვით მიახლოებულს სტატისტიკურს ცნობებს უნდა დავჯერდეთ.

მთელი კავკასიის სანამესტნიკო შეიცავს 7,938 კვადრატის საგეოგრაფიო (ნემცურს) მილს (\*\*\*) ან 384,173 კვადრატის ვერსს. ამ მხარეში 4,282,137 კაცის სული მსცხოვრებს.

(\*) სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც განიხილავს რომელსამე ქვეყნის ან სახელმწიფოს სიგრძეს, სიხარბეობებს რიცხვს, აღმზომებებს, ხალხის ნაწარმოებს, განათლებას, სამდიდრეს და სხ. მისი სიტყვით ის წარმოგვიდგენს ქვეყნის მდგომარეობას და ამასთანავე გამოიკვლევს საზოგადოების ცხოვრების ბუნებობს კანონებს. მითი ლექსი სტატისტიკა წარმოსდგება ლათინურის სიტყვიდან status (სახელმწიფო) და, იტყვა-სიტყვით თუ ვადაუთარგმნით, ნიშნავს — მეცნიერებას სახელმწიფოზედ.

(\*\*) ზოგიერთმა მკითხველმა იხედავს არ დაიჯეროს, რომ ჩვენს დროში ამ ნაირი სამეცნიერო ცნობები დაბეჭდვობდეს ჩვენს ქვეყანაზედ. მერვე ეს უნდა ვთქვათ კიდევ, ვინ სწერს ამას და სად. სწერს სწავლული სტატისტიკური კამიტეტი შუა-გულს საქართველოში, ტფილისის ქალაქში. ამ ექვიანს მკითხველებს ვთხოვთ განვიხილოთ ზორის ქალაქის აღწერა კავკასიის კალენდარში 1866 წლისა, მესამე ნაწილში, 57 გვერდზედ, სადაც სწერია: Г. Гори (по русски свиная) получили название от крѣпости въ срединѣ города, находящейся на возвышенности, по которой постепенно понижаются ея башни, соединенныя зубчатыми стѣнами; крѣпость эта, дѣйствительно имѣющая сходство съ хребтомъ гигантской свиной, сооружена императоромъ византийскимъ Ираклиемъ (?) въ первой четверти VII вѣка.

ამ უკანასკნელს წლებში კავკასიის კალენდარს ვაგს მასალა ძალიან შემოკლებია და ამისგან რაც კი უღონო ჩაუფარდებია, ყველაფერს ბეჭდვს. ასე მარშანდელს წიგნში შიშობა-მართების ციციანოვის ბიოგრაფია ქველის კავკასიის კალენდარში იყო გამოდგენილი და გარდა ამისა დაბეჭდილი იყო უაზრო და უსაფუძვლო პოკლე საქართველოს ისტორია უ. შალაივისა; წიგნი ორი მთავარ-მმართველების, შტოდოვიჩის და ტორმაზოვის ბიოგრაფიების მიხედვით, იმათი ფორმულიარები არის დაბეჭდილი და სალიტერატურა ნაწილში — საქათაონის მხარის აღწერა უ. პოსტრესკისა. ამ სტატიაში სხვათა შორის ერთი უცნაური რამ არის. ატორის უნდა იხსნას რა მზებუისაგან საქათაონის მხარე ტყით არის დაფარული და ატორის მარჯვენის ნაპირის მინდვრები უმცენარეოა და ამის ასახსნელათ გამოუღონია თავისი სასაცილო თეორია თესლის მოგზაურობაზედ. აქ ამის მოყვანა უადგილო იქნება და ვინც კი იმის წაკითხვას ისურვებს შეუძლიან იპოვოს კავკასიის კალენდრის სალიტერატურა ნაწილში, მათე გვერდზედ. (\*\*\*) კვადრატის საგეოგრაფიო ანუ ნემცურის მილი არის სიგრძე, რომელსაც 7 ვერსი სიგრძე აქვს და 7 სიგრძე, მას სადამე ერთს კვადრატის მილში გამოვა 7 X 7 = 49 კვადრატის ვერსი, კვადრატის ვერსი არის სიგრძე, რომელსაც 1 ვერსი სიგრძე აქვს და 1 სიგრძე.

ძვეკასიის მხარეში მოსახლეობის სიმჭიდროვე არის ერთს კვადრატის მილზედ 540 ე. ი. საშუალო გამოანგარიშებით, ერთის მეორეზედ ზედდაკეცი, გამოდის, რომ ერთს კვადრატის მილზედ მსახორებს 540 კაცის სული.

ძვეკასიის მხრის სხვა და სხვა ნაწილებში აი რამდენი მცხოვრები და კვადრატის მილი ითვლება:

Table with 3 columns: District Name, Population (Mili.), and Density (Persons per square mile). Rows include districts like St. George's, Tbilisi, and others.

საკუთრათ საქართველოში

Table with 4 columns: District Name, Population (Mili.), Density (Persons per square mile), and Land Area (Mili.). Rows include districts like Tbilisi, Zestaponi, and others.

აქედან ჩანს, რომ საქართველო შეიცავს 1,267 კვადრატის მილს ან 62,083 კვადრატის ვერსს და ამ ადგილზედ მსახორებს 1,157,610 კაცის სული. მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთს კვადრატის მილზედ გამოდის 914. ეს ციფრები მხოლოდ იმ საქართველოს ნაწილს ეკუთვნის, რომელიც რუსის მმართველობის ხელქვეით არის.

რიცხვი ქალაქებში მცხოვრებლებისა:

Table with 4 columns: District Name, Population (Mili.), Density (Persons per square mile), and Land Area (Mili.). Rows include districts like Tbilisi, Zestaponi, and others.

სხვა და სხვა სარწმუნოების მცხოვრებლების რიცხვი მართლში, ძახეთში და სომხეთში. (თფილისის გუბერნიაში, მანჯის უეზლას გარდა).

Table with 3 columns: Religion/Denomination, Population (Mili.), and Land Area (Mili.). Rows include categories like Orthodox, Catholics, etc.

აქ დაბადებულა ერთის წლის განმავლობაში (კალენდარში არ არის მოხსენებული, რომელს წელში)—13,524 სული; ამ რიცხვში მამრობითის სქესისა 7,180 და მდედრობითის 6,344. მომკვდარა 7,098,—3,936 მამრობითის და 3,162 მდედრობითისა. დაქორწილებულა—3,377 კაცი.

ამ ნაირი ცნობები იმერეთზედ, სამეგრელოზედ და აფხაზეთზედ არა გვაქვს.

მებატონეების და საბატონო გლეხების რიცხვი:

I თფილისის გუბერნია.

1860 და 1861 წლის კამერალის აღწერილობით თფილისის გუბერნიაში ითვლებოდა 1,751 მებატონე—თავადი და აზნაური.

Table with 3 columns: Category, Population (Mili.), and Land Area (Mili.). Rows include categories like nobles, etc.

იმევე წლის კამერალის აღწერილობით საბატონო გლეხები ითვლებოდა:

Table with 4 columns: District Name, Population (Mili.), Land Area (Mili.), and Density (Persons per square mile). Rows include districts like Tbilisi, Zestaponi, and others.

ეს 16,409 კომლი ან 118,552 ორივე სქესის კაცის სული დაბინავებულნი იყვნენ 3,242 სხვა და სხვა საბატონო მამულზედ.

ამათ გარდა ქალაქებზედ მიწერილნი იყვნენ და იქ მსახორებდნენ 873 კომლი ან 3,695 კაცის სული. ამ რიცხვში 2,097 მამრობითის სქესისა და 1,598 მდედრობითისა.

ამ ნაირათ გამოდის, რომ მთელს გუბერნიაში ითვლებოდა 1861 წელში 17,281 საბატონო კომლი გლეხი ან 122,247 კაცის სული. ამ რიცხვში მამრობითის სქესის 67,578 და მდედრობითის 54,669.

სული

Table with 3 columns: Category, Population (Mili.), and Land Area (Mili.). Rows include categories like nobles, etc.

ზემოხსენებული ციფრები ერთმანეთს რომ შევადაროთ, გამოვა, რომ მთელს გუბერნიაში საბატონო გლეხების რიცხვი შეადგენს: 1) სულ ყველა მცხოვრებლების მცოთხედს ნაწილს, 2) ედარება სახელმწიფო გლეხების მესამედს ნაწილს და 3) ერთი ორათ მეტია საეკლესიო ყმებზედ.

II შუთაისის გუბერნია.

შუთაისის გუბერნიაში ითვლება: 4,785 მებატონე—თავადი და აზნაური, 24,136 კომლი საბატონო გლეხები ან 96,732 მამრობითის სქესის კაცის სული, რომელნიც სცხოვრებენ 7,896 სხვა და სხვა საბატონო მამულზედ.

მებატონეები

საბატონო გლეხები

Table with 4 columns: District Name, Population (Mili.), Land Area (Mili.), and Density (Persons per square mile). Rows include districts like Shuta, etc.

ახალციხის უეზლში ბატონ-ყმობა არ ყოფილა.

ამ 4,785 მებატონეებისაგან

Table with 3 columns: Category, Population (Mili.), and Land Area (Mili.). Rows include categories like nobles, etc.

III სამეგრელო

1860 წლის კამერალის აღწერილობით მთელს სამეგრელოში იყო 25,479 მოსახლე კაცი.

Table with 3 columns: Category, Population (Mili.), and Land Area (Mili.). Rows include categories like nobles, etc.

Table with 3 columns: Category, Population (Mili.), and Land Area (Mili.). Rows include categories like nobles, etc.

ზევით მოყვანილის ციფრებიდან გამოდის, რომ ძახეთში, მართლში, იმერეთში და სამეგრელოში სულ ყოფილა 8,912 მებატონე და 60,966 კომლი საბატონო გლეხი; მანა სადამე საშუალო გამოანგარიშებით ერთს მებატონეზედ თითქმის 7 კომლი გლეხი მოდის.— მართლში და ძახეთში 1 მებატონეზედ მოდის 10 კომლამდე, იმერეთში 5 და სამეგრელოში 7 კომლამდე. აქედან ჩანს, რომ მცირე მამულიანი მებატონეები უფრო იმერეთში ყოფილან, იმის შემდეგ სამეგრელოში, მართლში და ძახეთში უფრო ნაკლებათ.

(\*) სამეგრელოში არიან იმისთანა გლეხები, რომელთაც ყმები ჰყავთ.

ს ა ხ ა ზ ი ნ მ ბ ა ნ ც ხ ა ლ მ ბ ა ე ბ ი.

(Закавказский Вѣстникъ, 1866 г. № 10.)

1) ინტენდანტის ოკრუტის სამართველოში 5 აპრილს ექნება შეგებება იჯარით აღებულად 64,125 ფუტის თივისა 18 ღრავუნის პერეასლაის პოლკისთვის. 2) იგი უნდა პოლკს ჩაბარდეს დედოფლის წყაროზედ ამ წლის 1-ს სექტემბრამდე. 3) მინც თივას აიღებს იჯარით, იმან უნდა წარადგინოს მთელი ფასის ერთი მესამედი გირავონით. 4) მირავთ მიიღება: ფული, მანკის ბილეთები, ქალაქის სახლი. მისაც სურს, შეფუძლიან წინათ მიიღოს ნახევ-

რის იჯარის ფასი, მაგრამ ამისთვის უნდა წარადგინოს მანეთზედ მანეთის გირავონი. 2) თფილისის გუბერნიის მმართველობის გადაწყვეტილობით გაისყიდება 6 მომავლს მისს თფილისის უეზლის სამსჯავროში ღვეთ ნანობაშვილის უძრავი მამული, რომელიც არის სიღნაღის უეზლში. 3) 6 აპრილს თფილისის ზაკავკასიის პრიკასში აუქციონით გაისყიდება ოქროს, ვერცხლის და სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები.